№ 176. აგვისტოს 13, სამშაბათი. 1866—1884 აგვისტოს 13, სამშაბათი. № 176.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე ... განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

საქართველოს ხალხური ბიბლიოთეკა

## შინაური ქრონიკა.

— ვუშინდელს «ნოვოე ობოზრენიე"ში» დაბეჭდილია შესანიშნავი ლექსი ნ. ბარათაშვილისა «მერანი», თარგმნილი რუსულად ბ. თხორჟევსკისაგან. ეს ის თხორჟევსკია, რომელმაც ისე მშვენივრად გადასთარგმნა რუსულად ბ. ი. ჭავჭავაძის პოემა „განდეგილი“. „მერანიც“ ალაგ-ალაგ დიდის ხელოვანებით და მშვენებით არის ნათარგმნი. გულის მიმტაცი და ვნებათა ამაღელვებელი სამოქალაქო დარდისა და ვარმით აღსებული აღმა-ფრენა ნ. ბარათაშვილის პოეზიისა შესანიშნავად დაცულია ჩვენგან დიდად საპატივსაცემო მთარგმნელისაგან. ერთს ალაგს ჩვენის პოეზიის მარგალიტის ნათარგმნი თვით დედანსაც არ ჩამოუვარდება. აი ის ლერმონტოვისებური ადგილი.

Безумныхъ силъ твоихъ не пропадетъ затрата
И не заглохнетъ путь, протоптанный тобой:
Имъ облегчу я путь грядущій для собрата,
Имъ облегчу борьбу грядущему съ судьбой!..

ბ. თხორჟევსკი აპირობს ნ. ბარათაშვილისავე «სულო ბოროტოს» გადათარგმნას. აპირობს თ. რ. ერისთავის ლექსებიდამაც საუკეთესოების არჩევას და თარგმნას, აგრეთვე აკაკისა და მ. გურიელის ნაწერებიდამ, რომ შემდეგ ყველა ეს ლექსები ერთ კრებულად დაბეჭდოს.

თუ ძალა და ღონე შემეწიაო — ამბობს ბ. თხორჟევსკი, — სულ კი გამიძნელდება და—იქნებ რამდენიმე კარი «ვეფხვის ტყაოსნიდამაც» მოვახერხო და გადავთარგმნოვო.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ბარათაშვილის „მერანის“ გადამთარგმნელს რუსთაველის პოეზიის შეგნებაც აღარ გაუჭირდება და მისი ეჭვი მხოლოდ ავტორის ჩვეულებრივი მორცხვობა და თავდაბლობაა.

— ჩვენ შევიტყეთ, რომ ერეკლე II ნაქონი თოფი უკვე ჩამოუტანიათ თბილისში და სათავად-აზნაურო სადეპუტატო სობრანიეში არის დაცული. არ იქნებოდა ურიგო, რომ ყოველს მსურველს შეეძლოს დანიშნულს დროზედ თავისუფლად შევიდეს სობრანიეში (ანდრონიკოვის სახლი, საპოლის ქუჩა) და დასტკბეს ძვირფასი საისტორიო განძის ხილვით.

— ამ დღეებში ჩვენ მივიღეთ წერილი ბ. თ—ძისა. წერილი ნათლად ჰხატავს ზოგიერთის პოლიციელის მოქმედებას. საქმე იმაშია, რომ პოლიციის პრისტავს ბ—ნს გაულახავს წერილის ავტორი ბ-ნი თ—ძე უდანაშაულოდ. საჩივარი შეუტანია გალახულს და აღმოჩენილა, რომ პრისტავი ბ—ნის მოქმედება, არამც თუ უკანონო ყოფილა, რადგანაც თავპირში ტყაპა-ტყუპი ყველას აღეკრძალა, არამედ თ—ძე სრულიად მართალიც გამომდგარა და ამისათვის ბ—ნისათვის საყვედურის მეტი არა უთქვამთ-რა. ბ. თ—ძე ეხლა გუბერნატორთან აპირებს ჩივილს, რადგანაც ამ გვარის გადაწყვეტილებით თავის თავს დაკმაყოფილებულად არა სთვლის.

— ამ წლის „ნობათის“ მე-5-თე და მე-6-სე №-რის დამატებაში ვკითხულობთ განცხადებას, რომელიც გვატყობინებს, რომ ბ. ა. ცაგარლის „სამი კომედია“ გამოვიდა და სამს აბაზად ისყიდებაო. მეტი არ იქნებოდა, ავტორს ადგილიც ეჩვენებინა, სად ისყიდება ეს წიგნი, რომ მსურველს უბრალოდ ძებნა არ მოსდომნოდა; ამბობენ რომ ეს წიგნი არც ერთს წიგნის მაღაზიაში არ იშოვებაო.

— ივრის ხეობიდგან, ს. ნინოწმინდიდგან წერილი წერილზედ მოგვდის ყვავილის გაძრიელების შესახებ. მცხოვრებნი ჩივიან ამ სენის მოსასპობლად ხელ-მოკლეობაზედ და ითხოვენ შემწეობას და ყურადღების მიქცევას. როგორც ეტყობა, ეს სენი დიდს ზიანს უნდა აძლევდეს, „რადგანაც მთელს მხარეში ვერც რიგიანს ამცრელს და ვერც ექიმს ვერ იპოვითო“.

— მთიდგან გვატყობინებენ, რომ ავდარმა მეტად საქმე გაუჭირა მცხოვრებლებსაო, რადგანაც წვიმების გამო ველარა სთიბენ და რაც მოთიბული აქვთ, იმის ახვეტასაც ველარ ახერხებენ, რათა ბალახი არ ჩაუხურდეს და არ დაულპეთო. უკეთუ თივა ნაკლებად მოვა, მთიელნი დიდს გაჭირვებას გამოივლიან, რადგანაც საქონლისთვის ზამთრის გამოსაკვებავს ვერ მოაგროვებენო.

— ჩვენ შევიტყეთ, რომ ერთს პირს განუზრახავს ქართული სახალხო-ლექსები, ანდაზები და აფორიზმები დაბეჭდოს

---

«დროების» ფელეტონი, აგვისტ. 14

## ბიბლიოგრაფია

ქართული წერის დედანი, ნაწილი პირველი, შედგენილი გ. ბაბიჩვაძისაგან.

ამ დღეებში ბატ. ბაბიჩვაძემ გამოსცა დედანი ქართული წერისა. ამ დღეებშივე გამოვა ჩვენი დედანიც. ჩვენ ორივეს მეტ-ნაკლებობით შეგვისწავლია ეს საგანი, გვიფიქრნია მაზედ, ბევრი გვიცდილნია და ამიტომ ბევრზედ ადვილად შეგვიძლიან განვითარებული სიტყვა წარმოვსთქვათ ერთმანეთის შრომაზედ. ჩვენს ბაასს მოისმენენ მასწავლებელნი, საზოგადოება, აიღებ-დაიღებენ, ჭეშმარიტს მსჯელობას შეიწყნარებენ, უსაფუძვლო კილვას გვერდს აუვლიან და ამ გზით შესდგება საღი, უტყუარი შეხედულობა საგანზედ. ჩვენ, იქნება, კრინტიც არ დაგვეძრა ამ საგანზედ, თვით ბატ. ბაბიჩვაძეს რომ არ გამოვეწვიენით. მან თვითონვე დაბეჭდა წერილი «დროებაში» თავის დედანზედ, რომელშიაც მას რეკომენდაციას უკეთებს მასწავლებლების და საზოგადოების წინაშე და ორიოდე კენჭს ისვრის ჩვენი დედნისაკენ. მაგრამ ეს გარემოება ჩვენს განხილვას ვერ მისცემს ცალ-მხრივანის მსჯელობის თვისებას, ხასიათსა. ჩვენ მარტო ნაკლულევანებაზედ არ ვილაპარაკებთ, თუ რაიმე ნამდვილი ღირსება აღმოჩნდება, ჩვენ არამც თუ ყურადღებას მივაქცევთ, დიდი ასოებით აღვნიშნავთ.

როცა თქვენ დედანს ადგენთ რომელისამე გავრცელებული ანბანის მიხედვით, იძულებულნი ხართ დაემორჩილოთ იმ რიგს ასოებისას, რომელიც მიღებულია ამ ანბანში. მაგრამ თუ თქვენი დედანი ამ მხრით დამოუკიდებელია, იგი უეჭველად უნდა ემორჩილებოდეს ესრედ-წოდებულს გენეტიურს მეთოდს, რომელიც მოითხოვს წინ-ძღოლას იმ ასოებისას, რომელნიც უფრო მარტივნი არიან ელემენტებით და რთული ასოების ელემენტს შეადგენენ. ბაბიჩვაძე დასდგომია ამ დამოუკიდებელს გზასა, გენეტიურს მეთოდს. კარგი და პატიოსანი, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მორევია ამ მეთოდს და მეორე ნაბიჯზედვე უღალატნია მისთვის. პირველი ასო მისი დედნისა არის Ⴈ, მეორე Ⴀ. მაგრამ განა Ⴀ შესდგება იმავე ელემენტებისაგან, რომლიდგანაც Ⴈ? სრულიადაც არა. Ⴀ არის რთული ასო, შესდგება მრუდე ხაზებისაგან და ძნელია დასაწერად. მართალია, ანბანებში ეს ასო თავშია მოქცეული, მაგრამ იქ სხვა მოთხოვნილებას, უფრო უძლიერესს, ემორჩილება რიგი ასოებისა, და დედანში კი ამ მოთხოვნილებას ადგილი არა აქვს. Ⴈ-ს შემდეგ უნდა დაეჭირა ადგილი Ⴓ-სა რომელიც არის ორ-კეცი Ⴈ და რომლის დაწერაც ძლიერ ადვილია ამ უკანასკნელი ასოს წერის შესწავლის შემდეგ. Ⴀ უნდა ჩაერთო იქ, სადაც არის Ⴒ და Ⴣ, რადგანაც ესენი ორჯელ და Ⴔ-ში ბატ. ბაბიჩვაძე სწერს მარცხენა მხრის გაწვრილებით და მარჯვენა მხრის გამსხვილებით, Ⴓ, რომელიც იწყება წერტილით, Ⴃ, Ⴊ, Ⴊ, რომელთაც მთელი მარცხენა მხარე თანაზრად გამსხვილებული აქვთ, როდესაც მსხვილი უნდა იყოს მხოლოდ კუდი და კუდზედ მობმული ხაზი კი — წვრილი, რადგანაც იწერება აღმავალი კალმით. დახატულია აგრეთვე ასო Ⴁ-ნი, რომელსაც იმ გვარი უცნაური სახე აქვს, რომ მისი დაწერა შეუძლებელია. დანარჩენს ასოებში წვრილი და მსხვილი ხაზები წერის კანონს ემორჩილებიან.

რაც შეეხება ასოების სილამაზეს, ზოგი მართლა მოსაწონია, მაგრამ სამაგიეროდ ზოგი ისეთი მახინჯია, რომ გვგონება უხეირო მოსამზადებელი კლასის შეგირდს დაუღაჯნიაო. დახედეთ, მაგალითად, Ⴒ, Ⴅ, Ⴄ, Ⴣ.

ისიც ხეირიანად ვერ გაურკვევია ბატ. ბაბიჩვაძეს, თუ რომელი ასო რომლის ელემენტია. მას Ⴈ ჩაუთვლია Ⴄ ელემენტად და ამიტომ იმოდენა თავი მოუბამს უკანასკნელი ასოსათვის, რომ თავ-კომბალას ჰგავს და ძლიერ უშნო ასო გამოდის. ესევე შეცდომა მოსვლია Ⴛ-ს შესახებ, რომლისათვისაც ჰოლოზას მუცელი გამოუბავს. ნამდვილად კი ამ ასოების ელემენტად უნდა ჩაითვალოს არა Ⴈ, არამედ მარჯვენა ნახევარი Ⴍ-ნისა წერტილის დამატებით თავში.

მართალია, ესრედ წოდებულ მელიქიშვილის შრიფტს ადგია პირველის შეხედულობით, მაგრამ აბა ცოტათი დააცქერდით მის Ⴄ-სა და თქვენ დაინახავთ, რომ უკანასკნელს მეტად უშნო სახე აქვს. წინააღმდეგ ამისა აკადემიური შრიფტი ეთანხმება ჩვენს შეხედულობასა და თუ შეადარებთ ამ შრიფტის Ⴄ-სა მელიქიშვილის შრიფტის Ⴄ-თან, ცხადად დაინახავთ, რომ, რამდენადაც პირველი ლამაზი და თავისებურია, იმდენად მეორე საძაგელია და მოკლებულია თავისებურობას და Ⴁ-ს ძლიერ მიაგავს. ქართულს გაკრულს ხელში Ⴄ-ს თავი თითქმის სრულიად არა აქვს და ამიტომ, როდესაც მრგვალს ხელში აბამთ ვეებერთელა თავსა, ადიდებთ მანძილს ამ ორ ხელს შორის, მაშინ, როცა იმას უნდა ვცდილობდეთ, რომ ეს მანძილი შევამოკლოთ. რომ ბატ. ბაბიჩვაძე ამ შემთხვევაში შემცდარია, იქიდგანაც აშკარად სჩანს, რომ Ⴅ-ისა და Ⴁ—სათვის იძულებული გამხდარა მოკლე თავები მოება და მათ ელემენტად ჩაეთვალა მარჯვენა ნახევარი Ⴍ-სა. დიდი თავი აუშნოებს ასოს Ⴓ-საც, რომელსაც ყოველ გვარს შრიფტში და საუკეთესო ხელ-ნაწერებში პატარა, მოკლე თავი აბია.

კანფეტებში ჩასართველად. ამ კანფეტების გირვანქა ორს შაურნაკლებ გაიყიდება, ვიდრე სხვაგან და გამოცხადებულის ფასიდგან ორი შაურიც «წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» სასარგებლოდ გადიდება. მხოლოდ რათა ანგარიში არ აირიოს, ხსენებული პირი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მმართველობას თხოვნას უპირებს, რომ თავის ბეჭდით დაბეჭდილი ყუთი მისცეს, რომელიც მაღაზიის კასასთან ეკიდება და მსყიდველები ფულს თავის ხელით ჩააგდებენო. იქვე ეკიდება შესამჩნევს ადგილებში განცხადება, რა რიგად უნდა გაუსწორდეს მსყიდველი მყიდავს. მაგალითად, ესა და ეს კანფეტი ღირს 50 კაპ., მაღაზიის პატრონს უნდა გადაეცეს 40 კაპ. და 10 კაპეიკი-კი მსყიდველმა თავის ხელით „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ ყუთში უნდა ჩააგდოს.

— სიღნაღში ყვავილი საკმაოდ მძვინვარებს. ძალიან ძნელი სახდელია და უკვე რამდენიმე ყმაწვილი იმსხვერპლაო. ექიმი სულ ერთი თუ ორია და მთელს ქალაქს როგორ აუვლენო.

— შინდისში, მდ. ლიახვის პირზე, გაჩენია ცეცხლი ბზით გავსებულს საბძელს და სასოფლო პურის მაღაზიას. ღამის 12 საათი ყოფილა, როცა დაურეკიათ ზარი სასოფლო საყდრისა. დღის მუშაობით დამაშვრალი ხალხი უცებ დამდგარა ფეხზე, დიდი მხნეობა და თავგანწირულება გამოუჩენია ცეცხლის გაქრობაში, საბძლის ერთი მესამედი გადურჩენია და მაღაზიის კედლები მხოლოდ შერუჯულა ალისაგან. პური კი დამწვარა.

„ძარგია კიდევ, — გვიამბო სოფლიდამ ჩამოსულმა, — რომ მაღაზიაში მხოლოდ შვიდი კოდი პური იყოვო.»

— ამას წინად ჩვენს გაზეთში იყო გამოცხადებული, რომ „ივერიის“ რედაქტორებს განზრახვა აქვთ ახლა სხვა რომელიმე სალიტერატურო სახსოვარი და კარგის წმინდა ენით დაწერილი ძველი ბელეტრისტული თხზულება დაბეჭდონო და, რომ იმათი არჩევანი ამირან-დარეჯანიანზედ შესდგაო. ახლა გვითხრეს, რომ „ამირან-დარეჯანიანის“ დაბეჭდვას შეუდგება რედაქცია «ივერიისა», უკეთუ კარგი ძველი ხელ-ნაწერი აღმოჩნდება სადმე და ან მოგვყიდიან მას, ან გვათხოვებენო. დღეს მხოლოდ ერთადერთი ხელთ-ნაწერი მოიპოვება, ვგონებთ, ტფილისში ამ თხზულებისა და ეს ხელ-ნაწერიც შარშან იქმნა გადაწერილი პეტერბურგში პროფ. დ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის ხელ-ნაწერიდამ «წერა-კითხვის საზოგადოებისათვის», მაგრამ, როგორც ამბობენ, ეს ხელ-ნაწერი ძალიან მცირეა და არა სრულიო. ჩვენ გვითხრეს, რომ ერთი საუკეთესო და სრული ეგზემპლიართაგანი «ამირან-დარეჯანიანისა», რომლის დაწერასაც მე-XII საუკუნის მწერალს, მოსე ხონელს მიაწერენ, მოიპოვება ერთის ქართლელის თავადის-შვილის ოჯახშიო. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბწყინვალე თავადი ეროვნულს განძს მიწაში არ ჩაუფლავს, მისცემს მსურველთ შეძლებას ამ ხელ-ნაწერის დაბეჭდვისას და მით ერის კუთვნილს ერსავე დაუბრუნებს.

— ახალციხიდამ გვწერენ, რომ იქაური პ—ვი ქუჩებს თურმე აწმენდინებს ძველის ნაწილისას, სადაც ქართველები და ბერძნები მოსახლობენ და სრულს თავისუფლებას აძლევს თავის ქიტ-ქიტიჩესებურს ზნეს. ვსთქვათ, სისუფთავე კარგია და ძალიანაც სასარგებლო, მეტადრე ამ ხოლერისაგან მუქარის დროს და ვსთქვათ, რომ ალექსანდრე მაკედონელი დიდი კაცი იყო, მაგრამ სილები და ალიყურები რაღა ამბავია, სკამების მტვრევა რაღა უზედურებაა!! მხეცებთან და პირუტყვებთან აქვს საქმე ბ-ნს პ — ვს, თუ თავისავე მზგავს ადამიანებთან?!

## ჩვენი თეატრის შესახებ. *)

წერილი მეორე.

წარსული წერილი ჩვენ შევწყვიტეთ იმაზედ, რომ დრამატიული საზოგადოების ვალი არის მეთქი შეიტყოს ანტრეპრენიორის ვინაობა და მისი შეძლება. ახლა, სანამ ჩვენს წერილს გავაგრძელებდეთ, მე მინდა მკითხველებს გავაცნო, რა რიგი კაცი უნდა იყოს საზოგადოდ ანტრეპრიონერი და რა გვარის წესებით იმართება სხვა ქვეყნებში თეატრები.

ანტრეპრიენიორი საზოგადოდ განათლებული კაცი უნდა იყოს. იმას უნდა ჰქონდეს სწრაფი მოსაზრება, მიხვედრილობა და ნიჭი საზოგადოების გემოვნების და მოთხოვნილების გაგებისა. უნდა ჰქონდეს შესწავლილი დრამატიული ლიტერატურა და შემუშავებული გემოვნება პიესების გარჩევისა. ამის გარეშე ანტრეპრენიორი უნდა იყოს სამართლიანი, მტკიცე ხასიათისა და გამჭრიახე, რადგანაც, ერთსა და იმავე დროს, ის არის რიგის მიმცემი, საქმის დამწყობი და მსაჯული. მიუდგომლობა ამ უკანასკნელს შემთხვევაში აუცილებლად საჭირო არის, რადგანაც ის არამცთუ მოარიგებს არტისტებს ერთმანერთს შორის, არამედ ბევრჯელ თავის თავის და არტისტის შორის მსაჯულიც-კი უნდა შეიქნას.

რასაკვირველია, ჩვენ არ ვამბობთ, რომ ამ გვარი იდეალური ანტრეპრენიორის შოვნა ადვილი იყოს, მაგრამ არც ის გვინდა ვსთქვათ, რომ საჭირო არ იყოს ვეცადოთ ანტრეპრენიორის გამონახვის დროს ისეთი კაცი მოვძებნოთ, რომელიც უფრო მეტად დაუახლოვდება ამ იდეალს. უკეთუ ანტრეპრენიორი განათლებული კაცი არ იქნება, არ ეცოდინება დრამატიული ლიტერატურა, არ ეცოდინება სცენის ვითარება, რაიცა მისცემს

*) წერილს სათაურად შეცდომით ჰქონდა დაწერილი: წერილი რედაქტორთან უნდა ყოფილიყო ისე, როგორც აქ არის.

ზოგიერთა ასოები მეტად უხერხულად არის ჩაწერილი ბადეში, შ-სა და წ-ს ზემო წელს უჭირავს ორი უჯრა, შუა ტანს — ერთი. აქედგან ის წარმოსდგება, რომ, როდესაც შ წინედ მოექცევა ძ, მ, ქ, ჩ, ნ, მაშინ სამჯერ გამეორებულს ა-ს შეადგენენ. ფ თითქმის სულ ბოლოშია მოქცეული, როდესაც მისი დაწერა ძლიერ ადვილია მას უკან, როცა ბავშვმა იცის თ და ვ დაწერა. აგრეთვე ზ ბოლოში გადაუტანია და არ მიუღია სახეში, რომ, რაკი ბავშვმა იცის ხ და თ დაწერა, ზ მისთვის მეტად საადვილო ასოა; რ, ბ და ნ წინ უძღვიან ზ-სა და უ-სა მაშინ, როდესაც უკანასკნელნი ბევრად ადვილნი არიან წინაებზედ. შიგა და შიგ კი სწორედ მოსვლია ასოების ჩარიგება, ასე, რომ ღედნის რიგს სრულიად ვერ დავიწუნებთ და აი-კარგიანად უნდა ჩაითვალოს.

ღედანი ბ. ბაბიჩევაძისა დანიშნულია პირველი წლისათვის, როდესაც ბავშვები ანბანსა სწავლობენ. ყველამ იცის, რომ დღეში სკოლაში თითო ასოს გაიცნობენ ხოლმე და აკავშირებენ ამ ასოს ყოველს წინედ ნასწავლს ასოებთანა. ბატ. ბაბიჩვაძე კი ხუთ-ექვსს ასოს ერთად აჩენს ბავშვს დასაწერად. რა უნდა ჰქნას სკოლამ? ან იმოდენი ხათრი უნდა გაუწიოს ღედნის შემდგენელსა, რომ თითო დღეს ხუთი-ექვსი ასო შეისწავლოს, ან არა და ხუთ დღეს ხელი აიღოს წერაზედ, მარტო კითხვას მიჰყვეს და მხოლოდ მეექვსე დღეს ერთბაშად ისწავლოს წერა ექვსი ასოსი. ცხადია, რომ ერთიც შეუძლებელია და მეორეცა.

თვითონ ასოების დაწერა ბევრგან ეწინააღმდეგება წერის კანონებსა. არამც თუ ნასწავლმა და შეგნებულმა პირმა, არამედ თვით უკანასკნელმა უმეცარმაც კი იცის, რომ, როდესაც კალამს ქვევით, დაღმა უსვამთ, მაშინ მსხვილი ხაზი გამოდის და როდესაც აღმა, ზევით, მიგაქვთ, კალამი წვრილს ხაზებს სტოვებს ქაღალდზედ. ბატ. ბაბიჩვაძეს კი ყველგან არ დაუცავს ეს კანონი. მეორე მისს ასოს (ა) მარცხნივ წვრილი ხაზი აქვს და მარჯვნივ მსხვილი; გარდა ამისა იწყება წერტილითა, რომელიც ყოვლად შეუძლებელია მაშინ, როდესაც კალამი ქვევით მიგაქვსთ. ასეთი სახე ა-სა მხოლოდ მაშინ შეიძლება მიეცეს, როდესაც მას დასწერთ უკუღმა, მარჯვნიდგან მარცხნივ და არა მარცხნიდგან მარჯვნივ, როგორც ყველანი სწერენ; ასევე უკანონოდ არიან დაწერილნი, ანუ სწორედ რომ ვსთქვათ, დახატულნი: ნ, რომელსაც მარჯვნივ მსხვილი ხაზი აქვს, ჩ, რომელსაც ზემო რგოლის მარჯვენა მხარე გამსხვილებული აქვს, რაც შეუძლებელია აღმავალი კალმისათვის, პ, რომელიც სწორედ ისევე უკანონოდ არის დაწერილი, როგორც ა, მარცხენა ხაზების გამსხვილებით, ყ, რომელიც იწყობა წერტილით და გრძელდება წვრილი, ბეწვური ხაზითა, როდესაც მათ ადგილას უნდა იყოს თანაბარი მსხვილი ხაზი, რ, რომელსაც ქვემო ნაწილი მარცხენა მხარისა წვრილი აქვს, როდესაც უნდა იყოს მსხვილი, — ზ, რომელსაც მარცხენა მხარი ზემო რგოლისა მსხვილი აქვს, მაშინ როდესაც ამ რგოლს თ-ში და მათ შუა დარჩება ტირიფონის მინდორი. ესევე უშველებელი მანძილი დაიდება ასოებს შორის, როდესაც წ მიჰყვებიან: ხ, ს, ტ, ჩ, ბ, ნ. მაგრამ მეტად სასაცილო ჭაპანწყვეტა მაშინ გამოვა, როდესაც წ-ი წინ უძღვის სიტყვაში ზ-სა და შ-სა. ამ შემთხვევაში ტირიფონის მინდორიც საკმარისი არ იქნება და იძულებული ვიქმნებით წეროვნის ვაკეც დავაყოლოთ. ამ ხიფათს სრულიად ასცდებოდა ბ. ბაბიჩვაძე, რომ შ-სა და წ ზემო ნაწილი მოეთავსებინა უჯრა ნახევარში; ასოებიც უფრო ლაზათიანი, სიმეტრიული გამოვიდოდენ და ბადეშიაც ყოველ გვარი ასოების კომბინაციის ჩაწერაც ხერხიანად მოვიდოდა.

ერთი ახალი შემოღება ბ. ბაბიჩვაძისა ასოების დაწერაში ყოვლად გასაკიცხია. ასოების ნაწილები რომ ერთმანეთს შეხვდებიან, ისე როდი ებმიან, როგორც არიან გადაბმულნი ყოველს გვარს შრიფტში და ხელ-ნაწერში, ერთმანეთზედ გადადიან და კეთდება პაწაწინა რგოლი. ამ პაწაწინა რგოლის დაწერა ყოვლად შეუძლებელია, იგი უნდა დაიხატოს უთუოდ და ამ დახატვაში პაწია მოსწავლე დღევრის ბევრს ოფლსა და დაჰკარგავს ბევრს დროსა. რის გულისათვის? რომ ბ. ბაბიჩვაძის ყოვლად-შეუსაბამო ფანტაზია დააკმაყოფილოს.

ასოების სიდიდეც ეწინააღმდეგება პედაგოგიის მოთხოვნილებასა. უწინ ღედნებს იწყებდენ ვეებერთელა, საქენის სიმაღლე ასოებით და ეგონათ, რომ ეს ეხმარებოდა ლამაზი წერის სწავლასა. ახლა კი იმ აზრისანი არიან, რომ დიდი ასოების წერა ჯერ ძლიერ აბრკოლებს შვიდი რვა წლის ბავშვების პატარა თითებსა და მერმე უძნელებს მათ წვრილი ხელის სწავლასა. ვისაც რაოდენიმე წერილი ან წიგნი წაუკითხნია წერის ხელოვნებაზედ, შეტყობილი აქვს, რომ ღედანი უნდა იწყებოდეს იმოდენა ასოებით, რომ ისინი დაახლოებით სამი ჩვეულებრივი გაკრული ხელის ასოების ოდენანი იყვნენ. ბატ. ბაბიჩვაძეს კი გულუხვობა უხმარნია და ასოები დაუჭერია თითქმის ხუთჯერ მეტი წვრილ ასოებზედ. აგრეთვე ეწინააღმდეგება წერის კანონს ის გარემოება, რომ ზემო და ქვემო ნაწილები ასოებისა შუა ტანზედ თითქმის ერთი ორად მომეტებულნი არიან. ნამდვილად კი ან თანასწორობა უნდა არსებობდეს მათ შორის და ან განსხვავება ასე დიდი არ უნდა იყოს.

იაკობ გოგებაშვილი.

(დასასრული იქნება)

საშუალებას დააფასოს პიესა, მისი მნიშვნელობა, სარგებლობა და უსარგებლობა, გაარჩიოს არტისტების ღირსება, რა მმართველი, ანუ საქმის მოთავე იქნება?

ზოგსა ჰგონია, რომ რიგიანი რეჟისორი, რომელიც მართლადაც ანტრეპრენიორის მარჯვენა ხელია, საკმარისი იქნება საქმის წასაყვანად, მაგრამ, ჩვენის აზრით, რეჟისორს მუდამ იმდენი საქმეები აქვს თითონ წარმოდგენების დასადგმელად და არტისტების მოსამზადებლად, რომ ესეც თუ სულ შეასრულა, მისგან საკმარისი სამსახურის გაწევა იქნება და დანარჩენს საქმეებში მონაწილეობას სრულიად ვერ მიიღებს.

ანტრეპრენიორს ყველა ამ ღირსების გარედ, შეძლებაც უეჭველად უნდა ჰქონდეს; ეს შეძლება თავისი საკუთარი იქნება, თუ გარეშე შემწეობა, სუბსიდია, ეგ სულ ერთია. მხოლოდ საქმის რიგიანად წაყვანისთვის საკმაო ხარჯი უნდა უეჭველად ჰქონდეს. თეატრის საქმე ისეთი საქმეა, რომ შეიძლება პირველ თვეში ანტრეპრენიორმა ზარალის მეტი ვერა ნახოს-რა და მეორე თვეში-კი მოგებამ ერთი-ორად და სამად დაჰფაროს წარსული ზარალი. უკეთუ ანტრეპრენიორი ფულიანი არ იქნება, პირველსავე დასაწყისში, ზარალის დროს, იძულებული იქნება ან საქმეს თავი დაანებოს, ან არა-და ისე არიოს საქმეები, რომ მათი რიგიანად წაყვანა ვეღარ შესძლოს და — რაც ყველაზედ საშიშია — საზოგადოება შემოიფთხოს.

ჩვენს საზოგადოებას ფულით შემწეობის მიცემა არ შეუძლიან და, მაშასადამე, ჩვენს ანტრეპრენიორს თავისი საკუთარი ფული უნდა ჰქონდეს და სათეატრო საქმეებში უეჭველად განვითარებული უნდა იყოს. უამისოდ ანტრეპრიზას ტყუილად მოჰკიდებს კაცი ხელს. იგი ვერც საქმეს წაიყვანს და იმედიც გაუცრუვდება.

სწორედ რომ ვსთქვათ, ყველაზედ სასარგებლო ანტრეპრენიორი ჩვენ მხოლოდ ერთი გვეგულება და ჯერ-ჯერობით მის მეტს ჩვენი თეატრის საქმის წაყვანა იმისავით არავის შეუძლიან. ეს გახლავსთ თავადი დავ. გიორ. ერისთავი, რომელსაც საკმაოდ ესმის თეატრის საქმეები და შესწავლილი აქვს სცენა, მაგრამ ამგვარი მსხვერპლი თავ. ერისთავისაგან ძნელად წარმოსადგენი არის და ძნელად მოსათხოვნიც, რადგანაც მცირე შრომა არ მოუნდება და კაცისაგან მუქთი სამსახურის მოთხოვნა მოუხერხებელია. ამგვარს სამსახურს თითონ გული უნდა ჩასჩიჩინებდეს, მეტადრე იმას, ვინც შეძლებულია და დღიური ლუკმისთვის ზრუნვა აღარ ეჭირება.

ჩვენი თეატრის საქმეში კიდევ ერთი შემთხვევა არის მხედველობაში მისაღები.

რაც უნდა ვსთქვათ ჩვენს არტისტებზედ, იმათ ყოფა-ცხოვრებაზედ, დანაშაულზედ საზოგადოების წინაშე, მაინც არ შეიძლება, რომ მათი თავგანწირული სამსახური ჩვენს საერთო საქმეში მხედველობაში არ მივიღოთ, არ დავინახოთ ის ერთგულება, რომელიც მათ ქართულის თეატრის ასაღორძინებლად და ქართულის ენის აღსადგენად გამოიჩინეს. ისინი შიმშილში და წყურვილში ატარებდენ დღეებს, დღე და ღამე მოსვენება ჰქონდათ დაკარგული, ყურადღებას არ აქცევდენ იმ გარემოებას, რომ აქტიორისა და თეატრში მოთამაშის სახელი, საზოგადოებაში დამცირების სინონიმი იყო — და მაინც თეატრის წმინდა სახელს არა ღალატობდენ.

ურეპერტუაროდ დასმა შეადგინა რეპერტუარა, უსკოლოდ დაბადა ნამდვილი არტისტები, რომელთაც არა ერთხელ გაუბრწყინებიათ სიამოვნების ნაპერწკალი უპირველესის სკეპტიკების გულში და წმინდა მოვალეობის სამსახურისთვის თითონ მუდამ მშივრები დარჩენილან.

დამეთანხმეთ, რომ ამ გვარი ხალხის და სხვა ქვეყნების არტისტების შორის, რომელნიც ყოველ ხმის ამოღებას ოქროს წონაზედა ჰყიდიან, დიდი განსხვავებაა.

იქ ყველაფრის დასაწყისი ფულია, არტისტები ვერაფერს დააყვედრებენ საზოგადოებას, რადგანაც შრომისთვის ფასს მომეტებულსაც იღებენ და იქაც-კი, სადაც ყველაფერი ფულზედ არის დამოკიდებული, სახელ-გამოუჩენელი კაცი, რომელსაც თეატრის საქმე ზედმიწევნით არა აქვს შეგნებული, სათეატრო დასის მოთავედ ვერ გამოვა და ჩვენში ხომ ეს სრულიად შეუძლებელიც არის და უსამართლობაც უნდა იყოს.

ჩვენს დასს ანტრეპრენიორად ისეთი კაცი ეჭირება, რომელსაც საზოგადოება იცნობს, რომელსაც უნდა ჰქონდეს რაიმე სახელი და სათეატრო საქმეში თავი რითიმე გამოეჩინოს.

თუ ამ გვარი ანტრეპრენიორი არ გაუჩნდა ჩვენს თეატრს, მაშინ ანტრეპრიზაზედ ოცნებას თავი უნდა დავანებოთ და მივმართოთ მეორე სისტემას, მაგრამ ეს შემდეგის წერილისთვის გადავდოთ, რადგანაც საუბარი ისეც გაგვიგძელდა.

ბაქცილა თეატრიკა.

---

## „დროების“ კორესპონდენცია

ს. დირბი. ცხრამეტი თებერვალი 1861 წლისა სახსოვარი დღეა მთელი რუსეთის ხალხისათვის. მან მოუტანა თავისუფლება თითქმის ოც მილიონამდე გლეხს. ამ რეფორმამ გლეხი თუმცა ეკონომიური გაჭირვებიდან ვერ დაიხსნა, პირადი თავისუფლება მაინც მიანიჭა; მის შრომას და ღვაწლს ფასი დასდო, ერთის სიტყვით უთხრა გლეხს, რომ შენც კაცი ხარ, და არა მონა, რომ გაქვს უფლება ადამიანურად ცხოვრებისაო. ათას გვარი გადასახადი და მონური ურთიერთობა მებატონესა და გლეხს შორის სამუდამოდ მოისპო. ჩვენში ეს რეფორმა შემოვიდა სამი წლის შემდეგ, ესე იგი 1864 წ. მას აქეთ აგერ ოცი წელიწადი გადის... სოფელი, რომელზედაც მე ეხლა მსურს მოგითხროთ, გახლავს დირბი. დირბში ზედ მიწერილ ს. ტახტის-ძირითურთ იქნება სულ ორასი კომლი მოსახლე; ექნება სამასამდინ ვენახი, და აუარებელი სარწყავი და ურწყავი მამული. დირბს ისტორიაშიაც ჰქონი ადგილი. საქართველოს მეფეებს ეს ამოდენა სოფელი (ამ გვარი მამულები ბევრია ჩვენ ფრონის ხეობაზე) თვისი ადგილ-მამულით, ვენახებით შეუწირავთ იერუსალიმის მონასტრისთვის თავის სულის საოხად და იქ ქართველთ ბერების საცხოვრებლად. რუსეთში ისე იყო, რომ საეკლესიო გლეხნი ყოველთვის მეტს შეღავათში ყოფილან, ვიდრე საბატონონი. სასტიკობა და უჯიათობა სასულიერო მთავრობას არც შეეფერებოდა. ჩვენში კი სულ სხვა ნაირად წასულა საქმე. იერუსალიმის მონასტრის მოადგილეებს ყურიც არ გაუბერტყიათ დირბელების მწარე ბედის გაუმჯობესობისთვის. ასე გასინჯეთ, ერთი სამრევლო და სამონასტრო სკოლაც არ დაუარსებიათ, (დირბი მონასტრად ითვლება). ულიათ უხვი შეწირულობა, მეათედი შემოსავლისა უგზავნიათ იერუსალიმის საპატრიარქო სალაროში, დანარჩენი შემოსავლისა თვითონ მოუხმარნიათ და ამითი გათავებულა მათი მისსიონერული მოღვაწეობა.

ოთხი წლის წინად მონასტრებს და ეკლესიებს ჩამოერთვათ მამულები და შეირიცხა სახემწიფო მამულებად. დირბშიც მოვიდა სახემწიფო მოურავი, მაგრამ როგორც უწყით, აწინდელი იერუსალიმის პატრიარქის მეცადინეობით, მამულები ისევ დაუბრუნდა მონასტრებს და დირბშიც ხელახლად მოვიდა მოურავად იერუსალიმის მონასტრის გამგებელი, რომელმაც ინჩი ქართული არ იცის. მაგის მოსვლა და დირბში ბატონ-ყმობის აღდგინება ერთი იყო. გაჩნდა ძველებური საჩექმო, საქვრივო (15—20, მან.) გასამყრელო (5—10 მან.), და სხვა ათასი ხარჯი და გადასახადი... ყოველ დღესასწაულში გლეხები მოვალენი არიან მიართვან ძღვნები, უზიდონ შეშა, დაბარონ ჭვარი და სხვა.

ეს კიდევ არაფერი, რომ მამულის შემოსავლიდან მეხუთედს არ ითხოვდეს. დირბში 300 ვენახია და მისმა კულუხმა შეადგინა შარშან თითქმის 600 კოკა. კოკა ხუთ მანათად რომ ვიანგარიშოთ, ნაღდი ფული შესდგება 300 თუმანი. თუ მეტი არა, ნაკლები ხომ ლალიდანაც არ შემოვა. მაშასადამე, დირბის შემოსავალი 600—700 თუმნამდინ მიაჭრის. სად მიდის ეს გადასახადი? იერუსალიმის ტაძრის სალაროში?! იქნება, ეს ჩვენ არ ვიცით...

დირბელები ახალ ბატონს მეხუთედს ვერ აძლევენ, რადგან ეს მათთვის დამღუპველი იქნება, თანხმდებიან მხოლოდ მეექვსედზედ. ბატონი კი თავისას არ იშლის. ამაზედ ატყდა საჩივარი სასამართლოში და არ ვიცით, რითი გათავდება ან ვის სასარგებლოდ ეს საინტერესო საქმე. სხვათა შორის დირბელებმა ერთი არზა იერუსალიმის პატრიარქს გაუგზავნეს, რომელშიაც სთხოვენ შებრალებასა და მცირეოდენ შეღავათს. მართებლობას სთხოვენ კიდევ, რომ მონასტრის გადასახადი ნაღდ ფულად გადაეწყვიტოთ დირბელებს, მოისპოს მოურაობა, და მით გათავდეს სამუდამო შუღლი ჩვენსა და იერუსალიმის მონასტერს შორისო.

ა. ფრონელი.

---

## ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

აგვისტოს 11-ს

**პარიჟი.** ჩინეთის ელჩი ლი-ფონგ-პაო ჯერ ისევ აქ არის; ამბობენ, რომ იმას მიუღია ტელეგრამმა, რომლითაც ჩინეთის მმართებლობა უბძანებს მშვიდობიანად როგორმე გაათავოს საფრანგეთთან საქმე.

**ლონდონი.** ადმირალმა კურბემ დაიწყო ომი ფუ-ჩე-უს წინააღმდეგ; ჩინელები ემზადებიან ტონკინში შემოსასევად.

**პეტერბურგი.** მანევრები დაიწყო აგვისტოს 8 ს.

**პარიჟი.** ჩინეთის მმართებლობა ტელეგრამით ეკითხება ლი-ფონგ-პაოს — შეიძლება ხალხთა-შორებრივი მედიატორობით მოურიგდეს საფრანგეთს, თუ არა. შანხაი. ლი-ხუნჩანგს მინდობილი აქვს ისე იმოქმედოს, რომ საფრანგეთთან ჩამოვარდნილი განხეთქილება მშვიდობიანად გაათავოს.

**ლონდონი.** ავგანის სასამზღვრო კომისია სტოვებს ქვეთთს სექტემბრის 1-ს. ემირს არ მოსწონს კომისია, მაგრამ დახმარებას კი ჰპირდება. კონვოიში 1000 კაცია.

**შანხაი.** ადმირალმა კურბემ ზარბაზნები დაუშინა და დაანგრია არსენალი ფუ-ჩე-უში. ჩინეთის შვიდი პატარა საომარი გემი დაღუპეს წყალში. ევროპიელთა უბანში სიმშვიდეა.

**პარიჟი.** ელჩი ლი-ფონგ-პაო შინ წავიდა აქედამ.

# განცხადებანი

## პატივის-ცემით ვაუწყებ

ბათუმისა, ფოთისა და ქუთაისის საზოგადოებას და ქ. ქუთაისის გარეშე მცხოვრებელთაც, რომ მუდამ ვსცხოვრობ ქ. ქუთაისში, ალექსანდრესა და ნემენცების ქუჩის კუთხეზე ხითაროვის სახლებში, სასტუმრო «ბათუმის» პირ-და-პირ, საცა ყოველ-დღე განვაგრძობ კბილის ტკივილით შეწუხებულ ავადმყოფების მიღებას მოსარჩენად და ხელოვნურის კბილების ჩასასმელად.

კბილის ექიმი ზენრიხ ლიდე როუმინი, წევრი პარიჟის კბილის ექიმთა სამედიცინო ფაკულტეტისა. (3—1)

---

**მიიღებიან მოსამზადებელისა და პირველის სამის კლასის შეგირდები** რეპეტიციით (მომზადებით) და ურეპეტიციოდ.

ავჭალის ქუჩაზედ, ყორღანოვის სახლი № 10, რომელიც ნემენცების სასაფლაოსთან მოედანზედ არის. სალგური მანსვეტოვისა. (3—3)

---

გამოვიდა

საბა-სულხან ორბელიანის

## ლექსიკონი

ავტორის სურათით და ისყიდება ანჩხატის ეკლესიაში მღვდლის გრიგოლ მღებრიევისას.

ფასი ოთხი მანათი ადგილობრივ, ხოლო გაგზავნით ოთხი მან. და ერთი აბაზი. (10—7)

---

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — 2 — 50 |
| საუკეთესო 2—,, | — 3 — ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალესები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—51)

---

## ინგლისური რკინის კრაოტები.



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადნოსი, დასადგმელი, პირის-საბანი, სტაქნები, სუფოუნიკი, საწყაო, სვები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თებშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა; აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბაღო მაკრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, ჭიქები, ფარიდები, კაპსიულები, ხათფანგები, ნაჩბები, კატერპრუფი, საზნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტრიკონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156-157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—38)

---

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდინ. საზებიო, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის საწამლებლად; ადამიანცი—9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლებლად; ბენკლევსკი—10—11 საათამდე.—საქირურგო, სასიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლებლად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა: გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ქირურგიული ავადმყოფობისათვის; ჩამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებლად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლებლად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექნებათ.

---

## განცხადება.

ახლად მივიღე თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის ღვინო ყვარელიდგან: ბოთლი 15 კაპეიკიდგან 1 მანეთამდე; თუნგი 60 კაპეიკიდგან 3 მანეთამდე. სკლადი ველიამინოვის ქუჩაზედ წინამძღვაროვის სახლებში.

(3—2) სოლომონ ივანის ძე კურდღელოვი.

---

## არწრუნისეულ ქარვასლაში

სასახლის ქუჩაზედ, იძლევა ქირით მაღაზიები, სადგურები კანტორებისა, სავაჭრო სახლებისა და საწყობებისათვის. პირობების შეტყობა შეიძლება ქარვასლის კანტორაში. (25—14)

---

**PAPIER RIGOLLOT**

**БУМАГА РИГОЛЛО**

**ГОРЧИЦА НА ЛИСТАХЪ ДЛЯ СИНАПИЗМОВЪ**

ПРИНЯТАЯ ВЪ ПАРИЖСКИХЪ ГОСПИТАЛЯХЪ
ВЪ ВОЕННЫХЪ БОЛЬНИЦАХЪ, ВЪ МОРСКОМЪ ФРАНЦУЗСКОМЪ И АНГЛІЙСКОМЪ
КОРОЛЕВСКОМЪ МОРСКОМЪ ВѢДОМСТВАХЪ

**Единственное средство, ввозъ котораго дозволенъ въ Имперію медицинскимъ совѣтомъ.**

Принимайте за *НАСТОЯЩУЮ* **БУМАГУ РИГОЛЛО** лишь ту, листы которой имѣютъ поперегъ сію подпись **красною** краской.

*P. Rigollot*

*Продается во всѣхъ аптекахъ.*

**ГЛАВНОЕ ДЕПО**
**24, Avenue Victoria**
PARIS
**Въ Парижѣ.**

(32—20)

---

## ინგლისის მაღაზიაში

**თმის-ამომყვანი** **მაკ-მასტერი**



ამაგრებს თმას და აღრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—56)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან., სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

---

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 აგვისტოდამ 16 აგვისტომდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— | —1 გირ. | 5 | კ. |
| **ქართულის ფქვილისა: პირველის ხარისხისა—** | —1 გ. | 2½ | |
| მეორისა— — | —1 გ. | 2 | კ. |
| **იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი:** | | | |
| პირველი ხარისხის | —1 გ. | 4½ | |
| მეორისა— — | —1 გ. | 3 | კ. |
| მესამისა — — | —1 გ. | 2½ | |
| **ჯვარის-მამი პური:** | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 გ. | 4½ | |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 გ. | 3½ | |
| მესამისა — — | —1 გ. | 3 | კ. |
| **ძროხის ხორცი:** | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 გ. | 8 | კ. |
| მეორისა— — | —1 გ. | 7 | კ. |
| სუკი . . . | —1 გ. | 15 | კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 გ. | 8 | კ. |
| **ღორის ხორცი:** | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 გ. | — | კ. |
| მეორისა— — | —1 გ. | — | კ. |

## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. დამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

*Доз. ценз. Тифлисъ, 13 Августа 1884 г.* სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.